

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აპლიკანტი:

1. რომელიც ფლობს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და სპეციალური კომისიის წინაშე წარმატებით გაივლის გასაუბრებას, რომლის დროს სიტყვიერად დაასაბუთებს პროგრამაზე სწავლის პირად მოტივაციას და წარადგენს საკუთარ გრაფიკულ ნამუშევრებს (ნახატები/ ნახაზები/კომპიუტერული დიზაინი).

2. ჩაირიცხება მისაღები სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული სასპეციალიზაციო გამოცდა). სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება დიზაინის ნამუშევრის შესაქმნელად ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში (Autodesk, Gaphisoft, Adobe) სტუ-ის რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო კომისიის წინაშე. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <https://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

3. წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი არანაკლებ B2 დონის სერტიფიკატს, ან II სერტიფიცირების დონის (ტესტირების ევროპული სისტემის ALTE-ს B2) ან საერთაშორისო სერტიფიკატს TOEFL (The Test of English as a Foreign Language). აპლიკანტებს, რომლებსაც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმატებით გაიაროს გასაუბრება ინგლისურ ენაში სათანადო პროფილის მქონე სტუ-ს თანამშრომელი სპეციალისტებისგან შემდგარ დროებით კომისიასთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<https://gtu.ge/Eng/international-students/how-apply.php>

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს დიზაინის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნით, კრიტიკულად მოაზროვნე და პროფესიული უნარებით აღჭურვილი, შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, კრეატიული იდეების განვითარებასა და ეფექტიან გადაწყვეტილებაზე ორიენტირებული დიზაინერი, რომელსაც ექნება მყარი საფუძველი ინოვაციური და ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.
- კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბოს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების დიზაინერული გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, კრიტიკული ანალიზის, საკუთარი დასკვნების არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი ეთიკის სტანდარტების დაცვით.
- შეუქმნას კურსდამთავრებულებს შემდგომ საფეხურზე სწავლის/კვლევის ან/და პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აღწერს დიზაინერული პროექტის ძირითად კონცეფციებს, თეორიებს, უახლეს ტენდენციებსა და ტექნოლოგიურ მეთოდებს/გადაწყვეტილებებს;
2. სიღრმისეულად განიხილავს დიზაინის დარგში არსებული კონცეფციების, ტექნოლოგიების განვითარების ძირითად ეტაპებს;
3. განსაზღვრავს დიზაინერული პროდუქტის შექმნისა და რეალიზების პროცესებს.
4. დიზაინერული პროექტების შემუშავების პროცესში დამოუკიდებლად იკვლევს ახალ მიდგომებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს;
5. მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოადგენს კვლევის შედეგებს (პროექტი/ნაშრომი/პროდუქტი), როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
6. დიზაინერულ პროექტებში უზრუნველყოფს უტილიტარულისა და ესთეტიკურის, ტექნიკურისა და ადამიანურის, კოლექტიურისა და ინდივიდუალურის ოპტიმალურ თანაფარდობას;
7. მართავს დიზაინერულ პროექტს/ნაშრომს და ქმნის პროდუქტს უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების საშუალებით.
8. დიზაინის სფეროში საქმიანობისას, სასწავლო თუ სამუშაო გარემოში იცავს პროფესიულ ეთიკასა და აკადემიურ სტანდარტებს, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს.
9. დიზაინის სფეროში საქმიანობისას იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 21), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60.

კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად 100 ქულიანი სისტემით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დანიშნოს დამატებითი გამოცდა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენამდე, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, და ასევე განცხადება - სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

დამატებითი ინფორმაცია მოცემულია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“-ში, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	კრიტიკული სწავლებები დიზაინში	5
2	ინოვაციური სტუდიო	10
3	მდგრადი განვითარების მომავალი	5
4	მდგრადი განვითარება და ნაშენი გარემო	5
5	ვორქშოფი 1	5
6	ინგლისური ენა საქმიანი კომუნიკაციისთვის	5
7	პორტფოლიოს შექმნა	5
8	მენეჯმენტი დიზაინისთვის	5
9	მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	10
10	ვორქშოფი 2	5
11	ინტერიერის სპეციალიზირებული ვორქშოფი 1	5
12	სამრეწველო/ციფრული სპეციალიზირებული ვორქშოფი 1	5
13	გამოყენებადობა დიზაინში	5
14	ინტერიერის სპეციალიზირებული ვორქშოფი 2	5
15	სამრეწველო/ციფრული სპეციალიზირებული ვორქშოფი 2	5
16	მდგრადი განვითარების სტუდია	10
17	სტაჟირება	10
18	სამაგისტრო ნაშრომი	30

